სუფთა ოქრო

Scripture taken from
© Institute for Bible Translation, Sweden, 2002.
Used by permission. All rights reserved.

© კანონიკური წიგნები - ბიბლიის თარგმნის
ინსტიტუტი, სტოკჰოლმი, 2002

სიტყვები ბიბლიიდან, წმიდა წერილი, ღვთის სიტყვა.

Edition 2025
© by GBV
printed in Germany

GBV Dillenburg GmbH
Eiershäuser Straße 54
35713 Eschenburg
GERMANY
www.gbv-dillenburg.de
www.gbv-online.org

დასაწყისში იყო
სიტყვა და სიტყვა იყო
ღმერთთან, და სიტყვა
იყო ღმერთი.

იოანეს სახარება 1,1.

მასში იყო სიცოცხლე
და სიცოცხლე იყო
ადამიანთა ნათელი.

იოანეს სახარება 1,4.

ᲛᲔᲕᲚᲐᲕ ᲔᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲐ
მათ იესო და
უთხრა: „მე ვარ
ნათელი სოფლისა.
ვინც წამომყვება,
ბნელში აღარ
ივლის, არამედ
სიცოცხლის
ნათელი ექნება მას.“

იოანეს სახარება 8,12.

ᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐ ᲛᲐᲡ
იესო: „მე ვარ
გზა, ჭეშმარიტება
და სიცოცხლე.
მამასთან ვერავინ
მივა, თუ არა
ჩემით.“

იოანეს სახარება 14,6.

ადგა იესო,
შესძახა და თქვა:
„თუ ვინმეს
სწყურია, ჩემთან
მოვიდეს და შესვას.
ვისაც ჩემი სწამს,
როგორც წერილი
ამბობს, მისი
წიაღიდან იდინებენ
ცოცხალი წყლის
მდინარეები.“

იოანეს სახარება 7,37-38.

„მოდით ჩემთან,
ყოველნო მაშვრალნო და
ტვირთმძიმენო, და მე
მოგასვენებთ თქვენ.“

მათეს სახარება 11,28.

„ვინაიდან ჩემი
უღელი ადვილია და ჩემი
ტვირთი – მსუბუქი.“

მათეს სახარება 11,30.

„ღმერთო, შემიწყალე მე, ცოდვილი.“

ლუკას სახარება 18,13.

რადგან ცოდვის საზღაური სიკვდილია, ხოლო ღმერთის მადლი – საუკუნო სიცოცხლე ქრისტე იესოში, ჩვენს უფალში.

რომაელთა მიმართ 6,23.

მიუგო იესომ და უთხრა მას: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც ხელახლად არ იშვება, ვერ იხილავს ღვთის სასუფეველს.“

იოანეს სახარება 3,3.

„ნუ გაგიკვირდება, რომ გითხარი: თქვენ ხელახლად უნდა იშვათ-მეთქი.“

იოანეს სახარება 3,7.

მაშ, მოინანიეთ
და მოიქეცით, რომ
აღიხოცოს თქვენი
ცოდვები.

მოციქულთა საქმეები 3,19.

თუ ვაღიარებთ ჩვენს
ცოდვებს, იგი, სარწმუნო
და მართალი, მოგვიტევებს
ცოდვებს და განგვწმედს
ყოველგვარი უკეთურებისაგან.

იოანეს პირველი წერილი 1,9.

ხოლო ვინც
მიიღო იგი და
ირწმუნა მისი
სახელი, მისცა
მათ ხელმწიფება
ღვთის შვილებად
გახდომისა.
ისინი იშვნენ არა
სისხლისაგან,
არა ხორცის
ნდომისაგან ...
არამედ ღვთისაგან.

იოანეს სახარება 1,12.-13

„ჭეშმარიტად,
ჭეშმარიტად გეუბნებით
თქვენ: ვინც ჩემს
სიტყვებს ისმენს და
ჩემი მომავლინებელი
სწამს, მას აქვს
საუკუნო სიცოცხლე
და განკითხვაზე
არ მიდის, არამედ
უკვე სიკვდილიდან
სიცოცხლეში გადავიდა.“

იოანეს სახარება 5,24.

რადგან იქამდე
შეიყვარა ღმერთმა
სოფელი, რომ მისცა
თავისი ერთადერთი
ძე, რათა არავინ, ვინც
მას ირწმუნებს, არ
დაიღუპოს, არამედ
ჰქონდეს საუკუნო
სიცოცხლე.

იოანეს სახარება 3,16.

მაგრამ ის დაჭრილი
იყო ჩვენი ცოდვების
გამო, და ტანჯული ჩვენი
უკეთურების გამო; ჩვენი
სასჯელი მასზე იყო; და
მისი წყლულებით ჩვენ
განვიკურნეთ.

ესაია წინასწარმეტყველი 53,5.

„აჰა, ვდგავარ კართან
და ვრეკ. თუ ვინმე
მოისმენს ჩემს ხმას და
გამიღებს კარს, შევალ
მასთან.“

იოანეს გამოცხადება 3,20.

ქრისტეს
დასამკვიდრებლად
რწმენის მეშვეობით
თქვენს გულებში.

ეფესელთა მიმართ 3,17.

„რადგან ძე
კაცისა მოვიდა
დაკარგულის
მოსაძებნად და
სახსნელად.“

ლუკას სახარება 19,10.

„ჩემთან მოსულს
გარეთ არ გავაძევებ.“

იოანეს სახარება 6,37.

მობრძანდით, ყველაფერი
მზად არისო.

ლუკას სახარება 14,17.

„პატონებო, რა გავაკეთო,
რომ გადავრჩე?“
„იწამე უფალი იესო და
გადარჩები შენც და შენი
სახლიც.“

მოციქულთა საქმეები 16,30-31.

რომ ყოველი მისი მორწმუნე
მისი სახელით მიიღებს
ცოდვების მიტევებას.

მოციქულთა საქმეები 10,43.

არამედ ჩვენთვისაც:
ჩაგვეთვლება ჩვენც, ვისაც
გვწამს იმისა, ვინც მკვდრეთით
აღადგინა ჩვენი უფალი
იესო, რომელიც მიეცა ჩვენი
ცოდვებისათვის და აღდგა
ჩვენს გასამართლებად.

რომაელთა მიმართ 4,24-25.

ამიტომ ახლა
არავითარი მსჯავრი აღარ
არის მათზე, ვინც ქრისტე
იესოში ცხოვრობს არა.

რომაელთა მიმართ 8,1.

ამას გწერთ თქვენ, ღმერთის
ძის სახელის მორწმუნეებს,
რათა იცოდეთ, რომ ღმერთის
ძის სახელის რწმენით გაქვთ
თქვენ საუკუნო სიცოცხლე.

იოანეს პირველი წერილი 5,13.

„Არამედ
გიხაროდეთ, რომ
თქვენი სახელები
ცაშია ჩაწერილი.“

ლუკას სახარება 10,20.

რაკი რწმენით
გავმართლდით,
მშვიდობა გვაქვს
ღმერთთან ჩვენი უფალი
იესო ქრისტეს მეშვეობით.

რომაელთა მიმართ 5,1.

რადგან მადლით ხართ
გამოხსნილნი, რწმენის
წყალობით, და ეს თქვენი
კი არა, ღმერთის ნიჭია,
არა საქმეთაგან, რათა
არავინ დაიქადოს.

ეფესელთა მიმართ 2,8-9.

მადლი ღმერთს მისი
გამოუთქმელად დიდი
ძღვენისათვის.

2 კორინთელთა 9,15.

ᲗᲝᲚᲝ თუკი ნათელში
დავდივართ, როგორც
ის არის ნათელში, მაშინ
თანაზიარება გვაქვს
ერთმანეთთან და მისი
ძის, იესოს სისხლი
გვწმედს ყოველი
ცოდვისაგან.

იოანეს პირველი წერილი 1,7.

„ᲩᲔᲛᲘ ცხვრები ჩემს
ხმას ისმენენ, და მე
ვიცნობ მათ, და ისინი მე
მომყვებიან.
მე მათ საუკუნო
სიცოცხლეს ვაძლევ და არ
დაიღუპებიან საუკუნოდ
და ხელიდან ვერავინ
გამომტაცებს.“

იოანეს სახარება 10,27-28.

ქრისტეც ხომ
იტანჯა თქვენთვის
და მაგალითიც
დაგიტოვათ, რათა
მის კვალს მიჰყვეთ.

პეტრეს პირველი წერილი 2,21.

„აჰა, მე თქვენთანა ვარ
დღენიადაგ საუკუნის
დასასრულამდე.“

მათეს სახარება 28,20.

„ასევე ანათებდეს თქვენი
ნათელი ადამიანთა წინაშე,
რათა ხედავდნენ ისინი
თქვენს კეთილ საქმეებს და
ადიდებდნენ თქვენს მამას,
რომელიც ზეცაშია.“

მათეს სახარება 5,16.

„Რადგან, ვისაც
შერცხვება ჩემი და
ჩემი სიტყვებისა,
კაცის ძესაც
შერცხვება მისი,
როცა მოვა თავისი
მამისა და წმიდა
ანგელოზების
დიდებით.“

ლუკას სახარება 9,26.

ხმება ბალახი, ჭკნება
ყვავილი, ჩვენი ღმერთის
სიტყვა კი მარად რჩება.

ესაია წინასწარმეტყველი 40,8.

„ცა და მიწა
გადაივლიან, ჩემი
სიტყვები კი არ
გადაივლიან.“

ლუკას სახარება 21,33.

Არაფერზე იზრუნოთ, არამედ მადლობით ყოველ ლოცვასა და ვედრებაში აუწყეთ თქვენი სათხოვარი ღმერთს. და ღმერთის მშვიდობა, რომელიც ყოველგვარ გონებას აღემატება, დაიფარავს თქვენს გულებს და თქვენს ფიქრებს ქრისტე იესოში.

ფილიპელთა მიმართ 4,6-7.

„საუკუნო სიყვარულით შეგიყვარე შენ, ისრაელ, ამიტომაც მოგფინე წყალობა.“

იერემია წინასწარმეტყველი 31,3.

„ნუ გეშინია, რადგან მე შენთანა ვარ.“

ესაია წინასწარმეტყველი 41,10.

„მე მივდივარ,
რათა ადგილი
გაგიმზადოთ.
როცა წავალ
და ადგილს
გაგიმზადებთ,
ისევ მოვალ და
ჩემთან წაგიყვანთ,
რათა, სადაც მე ვარ,
თქვენც იქ იყოთ.“

იოანეს სახარება 14,2-3.

მერე კი ჩვენ,
ცოცხლები, ვინც
დავრჩით, მათთან ერთად
ვიქნებით ზეატაცებულნი
ღრუბლებში, რათა ჰაერში
შევეგებოთ უფალს და
ამგვარად სამარადისოდ
უფალთან ვიქნებით.

1 თესალონიკელთა 4,16-17.

და ვიხილე ახალი ცა და ახალი მიწა.

იოანეს გამოცხადება 21,1.

და მოსწმენდს ყოველ ცრემლს მათი თვალებიდან და აღარ იქნება სიკვდილი, არც გლოვა, არც კვნესა, არც ტკივილი, რადგან წინანდელი უკვე გარდავიდა.

იოანეს გამოცხადება 21,4.

„აჰა, მოვალ მალე.“

იოანეს გამოცხადება 22,12.

მწყურვალი მოვიდეს და მსურველმა უსასყიდლოდ მიიღოს ცოცხალი წყალი.

იოანეს გამოცხადება 22,17.

ᲐᲛᲘᲜ,

მოდი, უფალო იესო!

იოანეს გამოცხადება 22,20.

Pure Gold

Georgian

GBV 183 4120